

## დიდი განმარტებითი ლექსიკონები

*“The spirit of nationalism has often proved a driving force in the making of dictionaries. Scholars were quick to recognize that the compilation of a reliable and comprehensive dictionary was one sign of the achievement of their country’s maturity, just as the lack of grammars and dictionaries indicated the dominance of a foreign power or the weakness of a truly national feeling”.*

Collison

*„ეროვნული სულისკვეთება ხშირად გამხდარა ლექსიკონების შექმნის მამოძრავებელი ძალა. მეცნიერებმა სწრაფად გააცნობიერეს, რომ სანდო და ვრცელი ლექსიკონი მათი ქვეყნის განვითარებისა და სიმწიფის ერთ-ერთი ნიშანი იყო, სწორედ ისევე, როგორც გრამატიკის სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების არარსებობა უცხო ქვეყნის დომინირებაზე, ან ჭეშმარიტად ეროვნული გრძნობის სისუსტეზე მიუთითებდა.“*

კოლისონი

*“The patriotic role of the monolingual dictionary may have been one of its major functions”.*

Zgusta

*„ერთენოვანი/განმარტებითი ლექსიკონის პატრიოტული როლი შესაძლოა მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო“.*

ზგუსტა

ლექსიკონების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპად დიდი განმარტებითი ლექსიკონები გვევლინება. განმარტებითი ლექსიკონების მეშვეობით ხორციელდება ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია. XVIII საუკუნიდან სწორედ ეს ფუნქცია და ამგვარი ლექსიკონების შექმნა იქცა ლექსიკოგრაფიის მთავარ ამოცანად ევროპის ქვეყნებში.

ქრონოლოგიურად, ხშირ შემთხვევაში, განმარტებითი ლექსიკონების შექმნას ორენოვანი ლექსიკონების შედგენა უსწრებდა წინ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განმარტებითი ლექსიკონების შექმნისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები: უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული წერილობითი ენის განვითარების მაღალი

დონე, რაც აუცილებელი პირობაა სიტყვის მნიშვნელობის აღწერისათვის, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თვით მოცემული ენობრივი კოლექტივის საჭიროება ამგვარ ლექსიკონში. განმარტებითი ლექსიკონების შედგენა მეტყველებს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე, ენობრივი კოლექტივის ლინგვისტურ “სიმწიფეზე”. აღსანიშნავია, რომ მრავალი ენის პირველ განმარტებით ლექსიკონებში დასტურდება რიგი განმარტებებისა, რომლებიც სხვა, უფრო განვითარებული ლიტერატურული ენის საშუალებებითაა შესრულებული (მაგალითად, ევროპული ენების პირველი ლექსიკონები შეიცავს სიტყვების განმარტებებს ლათინურ ენაზე; აზიის, ამერიკის, აფრიკის ხალხთა ლექსიკონებში არის განმარტებები ლიტერატურულ ევროპულ ენებზე).

განმარტებით ლექსიკონებში სიტყვები იმავე ენის სხვა სიტყვების მეშვეობითაა განმარტებული. მაგ.: ინგლისური სიტყვა **heart** ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში (Oxford English Dictionary on Historical principles - OED) შემდეგნაირადაა განმარტებული:

*The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.*

ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი კი სიტყვა **გულს** შემდეგნაირად განმარტავს:

*„ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს; ადამიანს აქვს გულმკერდის მარცხენა მხარეს“.*

დიდი განმარტებითი ლექსიკონის შექმნის უპირველესი მიზანია მშობლიური ენის ლექსიკური ფონდის მაქსიმალურად სრულად აღწერა და დოკუმენტირება. ეს პროცესი მრავალ კომპონენტს მოიცავს, რაზეც ძირითადად გვექონდა საუბარი მესამე თავში (მაკროსტრუქტურა, მიკროსტრუქტურა, გრამატიკული ინფორმაცია, კვალიფიკაციები და სხვა). გამოვყოფთ რამდენიმე კომპონენტს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდ განმარტებით ლექსიკონებში.

## ეტიმოლოგია

სიტყვის ეტიმოლოგიის, წარმომავლობის ანალიზს დიდ განმარტებით ლექსიკონებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რომელ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება სასათაურო სიტყვა? არის ის მშობლიური სიტყვა თუ ნასესხობა? მაგ. ქართული ენისათვის, რომელიც ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, მშობლიური სიტყვა არის საერთო ქართველური სიტყვა, რომელიც ასევე დასტურდება ქართულის მონათესავე ენებში: მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. ქართული სიტყვა „დათვი“ მშობლიური სიტყვაა, მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში არის: მეგრული - *თუნთ-*, *თუნთი*; ლაზური - *თუთ-ი/მთუთ-ი*; სვანური - **დჷმღუ**. ქართული სიტყვა „მგელი“ კი ნასესხობაა, იგი სავარაუდოდ სომხური ენიდანაა ნასესხები. მშობლიურია ქართული სიტყვა „თაფლი“ (ქართული *თაფლ-*, *თაფლ-ი*, მეგრული *თოფურ-*, *თოფურ-ი*, სვანური *თუ/თუ-ი*), „ღმერთი“ (ქართული *ღმერთ-*, *ღმერთ-ი*, მეგრული *ღორონთ-*, *ღორონთ-ი*, ლაზური *ღორმოთ-*, *ღორმოთ-ი*, სვანური *ღერმეთ-/ღერბეთ-ი*). ნასესხებია „ჩანთა“ (თურქული ნასესხობა), „ფანჯარა“ (სპარსული ნასესხობა), „თარჯიმანი“ (არაბული ნასესხობა) და სხვა.

სიტყვის ეტიმოლოგია, ჩვეულებრივ, კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული სალექსიკონი სიტყვა-სტატიის დასაწყისში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლი) ეტიმოლოგიას უთითებს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სხვა სიტყვები მშობლიური სიტყვებია. ქეგლი არ უთითებს ქართული სიტყვის მონათესავე ფორმებს სხვა ქართველურ ენებში.

ეტიმოლოგიას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში (OED), რომელიც, გარდა იმისა, რომ არის ინგლისური ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი, ისტორიული ლექსიკონიცაა. ოქსფორდის ლექსიკონში ყველა სიტყვა-სტატიას ახლავს ვრცელი ეტიმოლოგიური ინფორმაცია სიტყვის ეტიმოლოგიური შრის შესახებ. თუ სიტყვა განეკუთვნება საერთო გერმანიკულ

ლექსიკას, ეტიმოლოგიაში მითითებულია მოცემული სიტყვის მონათესავე ფორმები სხვა გერმანიკულ ენებში.<sup>1</sup>

მაგ. **Hand** არის მშობლიური სიტყვა და საერთო გერმანიკულ ლექსიკას განკუთვნილია. მისი ეტიმოლოგია ასეთია ოქსფორდის ლექსიკონში: [Com. Germ.: OE. *hand*, *hǫnd* = OFris. *hand*, *hond*, OS. *hand*, OHG. *hant*, ON. *hǫnd*, Goth. *handus*]. აღნიშნული ეტიმოლოგიიდან ვიგებთ, რომ სიტყვა **hand** გერმანიკულია (Common Germanic) და მისი მონათესავე ფორმები სხვადასხვა გერმანიკულ ენებშია: ძველი ფრიზული *hand*, *hond*, ძველი საქსური *hand*, ძველი ზემო-გერმანული *hant*, ძველი სკანდინავიური *hǫnd*, გოთური *handus*.

სიტყვა **father** მშობლიური სიტყვაა, რომელიც უფრო ძველ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება, კერძოდ არის საერთო ინდოევროპული სიტყვა<sup>2</sup>. შესაბამისად, მის ეტიმოლოგიაში მითითებულია არა მხოლოდ მონათესავე სიტყვები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში (ძველი ფრიზული *feder*, *fader*, ძველი საქსური *fadar*, *fader*, ძველი ზემოგერმანული *fater*, ძველი სკანდინავიური *fader*, გოთური *fadar*), არამედ მოცემულია მონათესავე სიტყვები სხვა ინდოევროპულ ენებში, მაგ.: სანსკრიტი *pitar*, ლათინური *pater*, ბერძნული *πατήρ* და სხვა (იხ. სურათი 1).

ოქსფორდის ლექსიკონში შეტანილია 249.300 ეტიმოლოგია და ეს ეტიმოლოგიები აღნიშნული ლექსიკონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვატორული ლექსიკოგრაფიული პრინციპია, რადგან ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და მეცნიერული ეტიმოლოგია სწორედ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

---

<sup>1</sup> ინგლისური ენა გერმანიკულ ენათა ჯგუფში შედის. მისი ახლომონათესავე ენებია: გერმანული, ჰოლანდიური, ფრიზული, სკანდინავიური, გოთური და სხვა გერმანიკული ენები.  
<sup>2</sup> გერმანიკული ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტოა. სხვა შტოებია: ინდური ენები, ბერძნული ენა, კელტური ენები, სლავური ენები, რომანული ენები და სხვა.

Oxford English Dictionary

Home Options Entry History Search History Entry Bookmarks Search Bookmarks Find In Page Stop

Oxford English Dictionary  FIND WORD

RESULTS father, *n.* SECOND EDITION

PRONUNCIATION SPELLINGS ETYMOLOGY QUOTATIONS DATE CHART ADDITIONS

(fɑːðə(r)) Forms: 1–3 **fæder** (1 -yr), **feder**, (3 **fader**), 2–6 **fader**, (3 *Orm.* **faderr**), (*south. dial.* 3 **væder**, **veder**, 3–4 **vader**), 3–4 **fadre**, 4–5 **fadir**(e, -ur(e, -yr), 4 **faper**, 6– **father**. [Com. Teut. and Aryan: OE. *fæder* corresponds to OFris. *feder*, *fader*, OS. *fadar*, *fader* (LG., Du. *vader*, *vaar*), OHG. *fater* (MHG. and mod.G. *vater*), ON. *faðer*, -ir (Sw., Da. *fader*, *far*), Goth. *fadar* (found only Gal. iv. 6, the ordinary word being *atta*):—O Teut. *fader*, *?fadēr*.—O Aryan *pəter* (*pəter*-, *pəter*-). whence Skr. *pitr*, Gr. *πατήρ*, L. *pater*, OIr. *athir*. The spelling in our quots. is uniformly with *d* until 16thc., exc. that *faper* occurs sporadically in the Cotton and Göttingen MSS. of the *Cursor Mundi* (a1300); but the pronunciation (ð) may have been widely current in the 15thc. or even earlier; in 14–15th c. the spelling with -*der* is very common in words like *brother*, *feather*, *leather*, though this spelling cannot in all cases be supposed to indicate that the writers pronounced the words with (d). The mod.Eng. -*ther* (ðə(r)) for OE. -*der*, -*dor* in *father* and *mother* is often wrongly said to be due to the analogy of *brother*, or to Scandinavian influence; it is really the result of a phonetic law common to the great majority of Eng. dialects; other examples in standard Eng. are *gather*, *hither*, *together*, *weather*. At present nearly all dialects pronounce *father* and *mother* with (ð) as in standard Eng.; in various parts of the north of England and the north Lowlands (d), alveolar or dental, is sometimes heard. The representation of OE. *æ*, *a* by (a:) in this word is anomalous; the only parallel case, setting aside the class of instances in which (a:) and (æ) vary, is *rather*. Among the chief variant pronunciations in dialects are (ˈfɑðər, ˈfeðər) (by writers of dialect books often spelt *faither*, *fyther*), (ˈfɪːðə(r), Sc. ˈfeðər) etc. In OE. the genitive had the two forms *fæder* (cf. OS. *fader*, OHG. *fater*, ON. *fǫður*) and *fæderes*. The uninflected form survived in occasional use down to the 15th c.]

1. **a.** One by whom a child is or has been begotten, a male parent, the nearest male ancestor. Rarely applied to animals.

**b.** *fig.* (Quots. 1597<sup>2</sup> and 1802 have given rise to proverbial phrases.)

LIST BY ENTRY LIST BY DATE ENTRY MAP HELP PRINT SAVE

SIMPLE SEARCH ADVANCED SEARCH


სურათი 1.

## სიტყვის მნიშვნელობები. საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები.

დიდი განმარტებითი ლექსიკონები მაქსიმალურად სრულად ასახავენ ამა თუ იმ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს. სწორედ ესაა ენის სრულად აღწერა და დოკუმენტირება. მაგალითად, ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა **heart**-ის 30 ძირითადი მნიშვნელობა, ასევე აღწერილია ყველა შესიტყვება თუ იდიომი.

განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა საილუსტრაციო მასალას, ანუ საილუსტრაციო ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც ადასტურებენ სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს და აკონკრეტებენ, აზუსტებენ მოცემულ მნიშვნელობას. წინა თავში დეტალურად იყო განხილული სიტყვის მნიშვნელობის / მნიშვნელობების აღწერის მეთოდები, მონაცემების შეგროვებისა და მონაცემების

დამუშავების ეტაპები. როგორც ითქვა, ოქსფორდის ლექსიკონისათვის შეგროვდა 10 მილიონი საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება, საიდანაც თავად ლექსიკონში 2.4 მილიონი კონტექსტი შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ციტატებისთვის მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი შეიმუშავეს: ყოველ ციტატას მითითებული აქვს წყარო და თარიღი. საილუსტრაციო წინადადებებში ვხედავთ ციტატებს ანგლოსაქსური ეპოსიდან „ბეოვულფი“, ანგლოსაქსური ქრონიკებიდან, ჩოსერიდან, ბიბლიიდან, შექსპირიდან, მილტონიდან, დიკენსიდან და სხვა. საყურადღებოა ის, რომ წყაროები ლექსიკონში დიდი სიზუსტითაა მითითებული. მაგ. შექსპირის ციტატებს დართული აქვს ინფორმაცია პიესის, მოქმედების და სცენის შესახებაც კი. ბიბლიის შემთხვევაში ასევე დამოწმებულია თავი და სტრიქონი და სხვა. (იხ. სურათი 2).



სურათი 2.

ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ეს პრინციპები შეიმუშავეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ 1850 წელს დაარსდა ლონდონში *ფილოლოგიური საზოგადოება*, რომელმაც ესოდენ მასშტაბური პროექტი ჩაიფიქრა. ლექსიკონის გუნდმა ეს პრინციპები შეიმუშავა დიდი ხნით ადრე კომპიუტერულ ეპოქამდე და არა მარტო შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ტექსტური კორპუსი (10 მილიონი ბარათი), არამედ ამ პრინციპებით შეადგინა ლექსიკონი, რომელიც მოგვიანებით თავად იქცა სრულყოფილ მონაცემთა ბაზად და მის საფუძველზე, უკვე მე-20 საუკუნის დასასრულს (1992), შესაძლებელი გახდა ძალიან თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონის შექმნა მრავალი საძიებო ფუნქციით.

The screenshot shows the Oxford English Dictionary interface. At the top, there's a navigation bar with icons for Home, Options, Entry History, Search History, Entry Bookmarks, Search Bookmarks, Find in Page, and Stop. Below this is the main header with the Oxford English Dictionary logo and a search box containing the word 'father'. The search results section shows 'father, n.' as the primary entry, with 'SECOND EDITION' noted on the right. A list of related words is on the left, including 'echeness', 'edwit', 'edwite, v.', 'eft, adv.', 'eighty, a. (n.)', 'empt, v.', 'end, n.', 'erendrake', 'evil, a. and n.', 'far, adv.', 'father, n.', 'fele, adv. (quasi-n.) and a.', 'few, a.', 'finger, n.', 'fire, n.', 'fish, n.', 'flee, v.', 'flood, n.', 'flow, v.', and 'foot, n.'. The main entry for 'father, n.' includes pronunciation, spellings, etymology, quotations, date chart, and additions tabs. The etymology section states: '[Com. Teut. and Aryan: OE. *fæder* corresponds to OFris. *feder*, *fader*, OS. *fadar*, *fader* (LG., Du. *vader*, *vaar*), OHG. *fater* (MHG. and mod.G. *vater*), ON. *faðer*, -ir (Sw., Da. *fader*, *far*), Goth. *fadar* (found only Gal. iv. 6, the ordinary word being *atta*):—OTEut. *fader*, *ʔfader*.—OAryan *pa'tēr* (*pə'tēr*, *pə'tr*-). whence Skr. *pitr*, Gr. *πατήρ*, L. *pater*, OIr. *athir*. The spelling in our quots. is uniformly with *d* until 16thc., exc. that *faþer* occurs sporadically in the Cotton and Göttingen MSS. of the *Cursor Mundi* (a1300); but the pronunciation (ð) may have been widely current in the 15thc. or even earlier; in 14–15th c. the spelling with *-der* is very common in words like *brother*, *feather*, *leather*, though this spelling cannot in all cases be supposed to indicate that the writers pronounced the words with (d). The mod.Eng. *-ther* (ðə(r)) for OE. *-der*, *-dor* in *father* and *mother* is often wrongly said to be due to the analogy of *brother*, or to Scandinavian influence; it is really the result of a phonetic law common to the great majority of Eng. dialects; other examples in standard Eng. are *gather*, *hither*, *together*, *weather*. At present nearly all dialects pronounce *father* and *mother* with (ð) as in standard Eng.; in various parts of the north of England and the north Lowlands (d), alveolar or dental, is sometimes heard. The representation of OE. *æ*, *a* by (a:) in this word is anomalous; the only parallel case, setting aside the class of instances in which (a:) and (æ) vary, is *rather*. Among the chief variant pronunciations in dialects are (ˈfɑðər, ˈfe:ðər) (by writers of dialect books often spelt *faither*, *feither*), (ˈfi:ðə(r), Sc. ˈfeðər) etc. In OE. the genitive had the two forms *fæder* (cf. OS. *fader*, OHG. *fater*, ON. *faður*) and *fæderes*. The uninflected form survived in occasional use down to the 15th c.]

1. a. One by whom a child is or has been begotten, a male parent, the nearest male ancestor. Rarely applied to animals.

c825 *Vesp. Psalter* xxvi[i]. 10 Forðon feder min & modur min forleorton mec. c1000 ÆLFRIC *Deut.* xxiv. 16 Ne slea man fæderas for suna eþton. c1200 *Trin. Coll. Hom.* 165 De sune wusshed þe fader deað ar his dai cume. c1290 *S. Eng. Loe.* I.

საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებებისათვის თარიღების დართვამ შესაძლებელი გახადა ყოველი ინგლისური სიტყვის ენაში პირველი გამოყენების/დადასტურების თარიღის დადგენა. ელექტრონულ ლექსიკონს აქვს ფუნქცია - **list by date**, რომელიც ლექსიკონის მაკროსტრუქტურის ყოველ სიტყვას უთითებს ამ თარიღს (იხ. სურათი 3). უფრო მეტიც, კონტექსტების თარიღების მეშვეობით შესაძლებელია პოლისემიური სიტყვების გადატანითი მნიშვნელობების წარმოშობის თარიღების დადგენაც და თვალის მიდევნება პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების განვითარების ქრონოლოგიისათვის.

კონტექსტებისათვის წყაროების დართვამ შესაძლებელი გახადა ისეთი ელექტრონული ლექსიკონის შექმნა, რომელშიც ნებისმიერი ავტორის, მაგ. შექსპირის ციტატების ამოკრებაა შესაძლებელი (იხ. სურათი 4).

The screenshot shows the Oxford English Dictionary search results for the term "Shakes.". The search is performed in "full text" mode. The results are sorted by date, showing 10 items per page. The interface includes a search bar, navigation icons, and a list of results with columns for entry name, entry date, and quotation date.

LIST BY:	ENTRY NAME	ENTRY DATE	QUOTATION DATE
1	<a href="#">a. a.<sup>2</sup> (indef. article)</a>	c1000	1596 <a href="#">SHAKES.</a> Merch. V. rv. i. 223 A Daniel
2	<a href="#">a. a.<sup>2</sup> (indef. article)</a>	c1000	1593 <a href="#">SHAKES.</a> 3 Hen. VI, v. iv. 12 Ah, what
3	<a href="#">a. a.<sup>2</sup> (indef. article)</a>	c1000	1600 <a href="#">SHAKES.</a> A.Y.L. i. i. 2 It was upon thi
4	<a href="#">a. a.<sup>2</sup> (indef. article)</a>	c1000	1600 <a href="#">SHAKES.</a> A.Y.L. i. i. 121 And a many me
5	<a href="#">a. a.<sup>2</sup> (indef. article)</a>	c1000	1601 <a href="#">SHAKES.</a> All's Well i. iii. 244 He and
6	<a href="#">a. pron.</a>	1205	1604 <a href="#">SHAKES.</a> Ham. iii. iii. 74 Now might I
7	<a href="#">a. prep.<sup>1</sup></a>	c1000	1599 <a href="#">SHAKES.</a> Hen. V, rv. iii. 42 He, will st
8	<a href="#">a. prep.<sup>1</sup></a>	c1000	1613 <a href="#">SHAKES.</a> Hen. VIII, v. iv. 80 Being tor
9	<a href="#">a. prep.<sup>1</sup></a>	c1000	1601 <a href="#">SHAKES.</a> Jul. C. i. ii. 193 Let me haue
10	<a href="#">a. prep.<sup>1</sup></a>	c1000	1601 <a href="#">SHAKES.</a> All's Well ii. iii. 265 Why do

სურათი 4.



მე-4 სურათზე გამოსახული სლაიდის ზედა მარცხენა კუთხეში ჩანს შექსპირული ციტატების რაოდენობა: 29.971 ციტატა. ამ პრინციპით შესაძლებელია ლექსიკონში ციტირებული ყველა სხვა ავტორის კონტექსტების ამოკრება. მე-4 სურათზე ჩანს, რომ შექსპირულ ციტატებს მითითებული აქვს პიესა, მოქმედება და სურათიც კი, რაც საშუალებას იძლევა ძიება განხორციელდეს შექსპირის ცალკეული ნაწარმოებების მიხედვითაც. ასეთი ინფორმაცია მნიშვნელოვანია თანამედროვე ინგლისური სიტყვებს შექსპირული მნიშვნელობების დასადგენად, რომელიც ხშირად განსხვავდება მოცემული სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობისგან.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში წარმოდგენილი ეტიმოლოგიები, ასევე მრავალგვარი ინფორმაციის მოძიებისა და ამოკრების საშუალებას იძლევა. მაგალითად, შესაძლებელია ინგლისური სიტყვების მონათესავე სიტყვების ამოკრება სხვადასხვა ენებიდან: სანსკრიტიდან, ძველი საეკლესიო სლავურიდან, ავესტურიდან, ძველი ირლანდიურიდან, ასევე სხვა ძველი თუ თანამედროვე გერმანიკული და ინდოევროპული ენებიდან. მე-5 სურათზე ჩანს ამგვარი ძიების შედეგები ბერძნული სიტყვებისათვის.

Oxford English Dictionary

Home Options Entry History Search History Entry Bookmarks Search Bookmarks Find in Page Stop

Oxford English Dictionary  FIND WORD

RESULTS 1-10 of 22909 10 per page SHOW


SEARCH FOR... Gr. IN full text START SEARCH MORE OPTIONS

	LIST BY: ENTRY NAME	ENTRY DATE	QUOTATION DATE
1	a1000	<a href="#">a. adv.</a>	, L. <i>aevum</i> , <i>Gr.</i> <i>αἰών</i> and adv. <i>αἰεί</i> . This word beca
2		<a href="#">a- prefix</a>	4. a-, from <i>Gr.</i> <i>ἀ-</i> , used bef. a cons. for <i>ἀ-</i> , pre
3		<a href="#">a- prefix</a>	5. a-, from <i>Gr.</i> <i>ἀ-</i> intensive, as in <i>a-bolla</i> , <i>a-mau</i>
4		<a href="#">-a suffix</a>	2. <i>Gr.</i> and L. <i>-a</i> , nom. ending of fem. nou
5		<a href="#">-a suffix</a>	4. <i>Gr.</i> and L. <i>-a</i> , plural ending of neuter
6	1502	<a href="#">aam</a>	, <i>háma</i> ; ad. <i>Gr.</i> <i>ἄμα</i> a water-bucket. <i>Aam</i> is the mod
7	1611	<a href="#">aaron²</a>	[a. <i>Gr.</i> <i>ἄρον</i> , corruptly spelt like the pre
8		<a href="#">ab-</a>	, cogn. w. <i>Gr.</i> <i>ἀβ-</i> , <i>Skr.</i> <i>apa</i> , <i>OIeut.</i> <i>af</i> , <i>OE.</i> <i>of</i> ,
9		<a href="#">abaciscus</a>	[L., a. <i>Gr.</i> <i>ἀβᾶκισκος</i> , dim. of <i>ἀβᾶξ</i> a slab.]
10	1387	<a href="#">abacus</a>	<i>abacus</i> , f. <i>Gr.</i> <i>ἀβᾶξ</i> a board or slab, a draught-bo

PREVIOUS NEXT MORE BEGINNING AT 11

სურათი 5.

სწორედ ამ ნოვატორული პრინციპებისა და მასშტაბის გამო შეადარეს ოქსფორდის ლექსიკონის სრული ტომეულის (20 ტომი) მეორე გამოცემა 1989 წელს მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებას, მეცნიერულ ევერესტს, მსოფლიოს უდიდეს საგამომცემლო მოვლენას (იხ. სურათი 6). ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ჯეიმზ მარის ხელმძღვანელობით ბევრად გაუსწრეს წინ დროს და შექმნეს მომავლის ლექსიკონი, რომელიც დღესაც ინგლისური სიტყვების კვლევის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა.



სურათი 6.

მასასადამე, ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში ყოველი სიტყვისათვის შექმნილია მისი სრული ისტორია: მშობლიურია სიტყვა თუ ნასესხები? რომელ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება მშობლიური სიტყვა? რომელი ენიდანაა ნასესხები მოცემული სიტყვა? რომელ პერიოდშია იგი ნასესხები? რომელ წელს ჩნდება ენაში მოცემული სიტყვა? რომელ წელს ჩნდება ენაში პოლისემიური სიტყვის გადატანითი

მნიშვნელობები და როგორია მათი ქრონოლოგია? ამასთან ერთად სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში სრულადაა აღწერილი სიტყვის ყველა მნიშვნელობა, შესიტყვება, იდიომი, ყოველი მნიშვნელობა უხვადაა ილუსტრირებული ციტატებით და ყოველ ციტატას მითითებული აქვს თარიღი და წყარო. ასე შექმნეს ჯეიმზ მარიმ და მისმა რედაქტორებმა ენის აღწერისა და დოკუმენტირების მოდელი, რომელსაც ბევრი მიმდევარი გაუჩნდა კონტინენტზე.

*'I feel that in many respects I and my assistants are simply pioneers, pushing our way experimentally through an untrodden forest, where no ... man's axe has been before us.'*

*James Murrey*

*“მე ვგრძნობ, რომ ბევრი თვალსაზრისით მე და ჩემი თანამშრომლები ვართ პიონერები, რომლებიც ექსპერიმენტულად ვიკვლავთ გზას ფეხდაუდგმელ ტყეში, სადაც ... არავის ცული არ მოხვედრილა ჩვენამდე“.*

*ჯეიმზ მარი*

ასეთი პრინციპებით შექმნილი ლექსიკონი არა მარტო სრულყოფილად აღწერს ენას, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის მოცემული ენის სიტყვების კვლევის მნიშვნელოვანი წყარო.

სწორედ ამ თვისებების გამო უკავია დიდ განმარტებით ლექსიკონებს განსაკუთრებული ადგილი ნებისმიერი ერის სულიერ და კულტურულ საგანძურში, სწორედ ამ თვისებების გამოა საჭირო საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი “სიმწიფე”, სალიტერატურო ენის განვითარების მაღალი დონე, რათა ამ საზოგადოების წიაღში აღმოცენდეს ასეთი მასშტაბური ნაწარმოები – საკუთარი ერისა და ენის უკვდავსაყოფად.

\*\*\*

**უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

1. რა ფუნქციები აქვს დიდ განმარტებით ლექსიკონებს?
2. კოლისონისა და ზგუსტას მიხედვით, რა მიმართებაშია განმარტებითი ლექსიკონები ეროვნულ კულტურასთან და ეროვნულ თვითშეგნებასთან?
3. რატომ უსწრებს ხშირად ორენოვანი ლექსიკონების შედგენა განმარტებითი ლექსიკონების შედგენას?
4. რა ენაზეა მოცემული განმარტებით ლექსიკონებში შეტანილი სიტყვების განმარტებანი?
5. რა მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან შედგება დიდი განმარტებითი ლექსიკონების სიტყვა-სტატიები?
6. რა არის სიტყვის ეტიმოლოგია?
7. რატომ არის მნიშვნელოვანი დიდ განმარტებით ლექსიკონებში სიტყვის ეტიმოლოგიური წარმომავლობის ასახვა?
8. რა საინფორმაციო ღირებულება აქვს სიტყვა-სტატიაში შეტანილ საილუსტრაციო ფრაზებს?
9. რა წყაროებიდან არის აღებული ის საილუსტრაციო ციტატები, რომლებიც ოქსფორდის დიდ ლექსიკონშია შეტანილი?
10. როდის შეიმუშავეს ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ის პრინციპები, რომელსაც ეს ლექსიკონი დაეფუძნა?
11. რომელმა ლონდონურმა სამეცნიერო ორგანიზაციამ ჩაიფიქრა ოქსფორდის ლექსიკონის შექმნის მასშტაბური პროექტი?
12. რომელ წელს დაარსდა ლონდონში *ფილოლოგიური საზოგადოება*?
13. რა სახის მონაცემთა ბაზა შეიქმნა ოქსფორდის დიდი ლექსიკონის პროექტისთვის?
14. რამდენ ბარათს შეიცავდა ეს ტექსტური კორპუსი?
15. რა სასარგებლო ფუნქციები აქვს ოქსფორდის დიდი ლექსიკონის თანამედროვე ელექტრონულ ვერსიას? (დაასახელეთ რამდენიმე)

